ე) რომელთაც უკავიათ მერიის და/ან გამგეობის ხელმძღვანელის, მათი მოადგილეების, გამგეობის და/ან მერიის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ან მოადგილის თანამდებობა, რომელთაც დადგენილი წესით ნიშნავს შესაბამისად მერი და/ან გამგეობის თავმჯდომარე, გარდა სოფლის, თემის და იმ ქალაქის გამგებლისა (მერისა) რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში.
3. საკრებულოს წევრის კანდიდატის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება ხდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 12. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა. საარჩევნო ფონდი

1. საკრებულოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას ყოველი საკრე-ბულოს მიხედვით განსაზღვრავს საქარ-თველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს მათ ფაქტობრივ ოდენობას. არჩევნების დამთავრებიდან სამი თვის ვადაში მათ ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
2. არჩევნების მომზადებისა და ჩატარე-ბისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის გამოყოფას და კომისიის ანგარიშზე მის ჩარიცხვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნებამდე არა უგვიანეს 90 დღისა. საარჩევნო კომისიების დაფინანსება ხდება მხოლოდ სახელმწიფო ხარჯით.
3. არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და კანდიდატები ქმნიან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის საარჩევნო ფონდს, რისთვისაც უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი სახსრები, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიული პირები შემოწირულობანი.
4. საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ ფილიალებში) შესაბამის საარჩევნო კომისიაში შესაბამისი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის ანგარიშზე ჩაირიცხება არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩევნებში მონაწილე კანდიდატის ანგარიშზე – არა უგვიანეს 25 დღისა.
5. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე 60 დღით ადრე. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კომისიებისათვის

# კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ"

გამოყოფილი თანხა მათ მიმდინარე ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს.ანგარიშები იხსნება საქარ-თველოს ბანკების ადგილობრივ ფილი-ალებში კომისიებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მათი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი.

6. საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ორი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით, ხოლო სამი კვირის ვადაში მის ანგარიშზე ჩარიცხავენ თავიანთ ანგარიშზე არსებულ ნაშთებს.

7. არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყდება ყოველგვარი ანგარიშ-სწორება საარჩევნო ფონდებიდან. თითოეული პარტია ან საარჩევნო ბლოკი საარჩევნო ფონდის ნაშთს ჩარიცხავს შესაბამისი საკრებულოს სპეციალურ საბანკო ანგარიშზე. თუ პარტიის, საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით ერთი კანდიდატი მაინც იქნა არჩეული საკრებულოს წევრად, მისი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ფონდის ნაშთი უნდა ჩაირიცხოს პარტიის, საარჩევნო ბლოკის ანგარიშზე.

8. თითოეული პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით არ უნდა აღემატე-ბოდეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საკრებულოს არჩევნებისათვის ამ მიზნით განსაზღვრული თანხის ხუთმაგ ოდენობას. საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგებელი ან, საჭიროების შემთხვევაში, გამგეობა ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც შესაბამისად ნიშნავს არჩევნებში მონაწილე პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ან კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი (გამგეობა) პასუხის-მგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყე-ნებისათვის.

9. არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა საოლქო საარჩევნო კომისიები აქვეყნებენ არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების ანგარიშებს არჩევნებში სახსრების გამოყენების თაობაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშებს თან უნდა ერთვოდეს კონტროლის პალატის დასკვნა სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და ხარჯვის თაობაზე ჩატარებული შემოწმების შესახებ. არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ საქართველოს კონტროლის პალატა, ცენტრალური და ქვემდგომი საარჩევნო კომისიები, საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების მართლზო-მიერებას - ზემდგომი საარჩევნო კომისია და ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას კი - საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა.

10. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები საარჩევნო კომისიებს უსასყიდლოდ გამოუყოფენ და გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობებს. საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ თითოეული საკრებულოსათვის დადგენილი ფორმისა და მოცულობის ფარგლებში, უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ ცნობებს, არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სხვაგვარი სარგებლობა ანაზღაურებადია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი II
## არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

მუხლი 13. არჩევნების დანიშვნა

1. საკრებულოების არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საკრებულოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა.

2. ყველა დონის საკრებულოების არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ.

3. ცნობა საკრებულოების არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

მუხლი 14. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია წარმოებს "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

## თავი III. საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

მუხლი 15. საარჩევნო ოლქები

1. თითოეული რაიონის, სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულოების ასარჩევად, რომელთა ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალ-მანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. იმ სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის საკრებულოების ასარჩევად, რომელთა ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

3. რაიონის და ქალაქების - ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საარჩევნო ოლქებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საარჩევნო ოლქებს ქმნის რაიონის საოლქო საარჩევნო კომისია.

5. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ ცნობას საარჩევნო ოლქების თაობაზე, მათი საზღვრების მითითებით.

მუხლი 16. საარჩევნო უბნები

საკრებულოების არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად იქმნება საარჩევნო უბნები "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

## თავი IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 17. საარჩევნო კომისიები

1. საკრებულოების არჩევნების საარჩევნო კომისიების სისტემა, მათი ორგანიზაცია, უფლებამოსილება და მუშაობის საჯაროობა განისაზღვრება "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და ამ კანონით.

2. ქ.თბილისის ტერიტორიაზე პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე თბილისის საკრებულოს არჩევნებისას საოლქო საარჩევნო კომისიები ასრულებენ "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს, გარდა პარტიული სიების რეგისტრაციისა და არჩევნების საბოლოო შედეგების დადგენისა. ქ.თბილისის საკრებულოს არჩევნებისას პარტიული სიების რეგისტრაციას ახდენს და არჩევნების საბოლოო შედეგებს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 18. საარჩევნო კომისიის გადაწყვე-ტილების გასაჩივრება

1. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და მოქმედება სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს 'საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების (მოქმედების) სასამართლოში გასაჩივრები-სათვის აუცილებელი არ არის ზემდგომი საარჩევნო კომისიისათვის წინასწარი მიმართვა.

## თავი V. ამომრჩეველთა სია და ამომრჩევლის ბარათი

მუხლი 19. ამომრჩეველთა სია და ამომრჩევლის ბარათი

ამომრჩეველთა სიების შედგენის, სიაში მოქალაქეთა შეყვანის, მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის, ამომრჩეველთა ბარათების დარიგების, ამომრჩეველთა სიებში უზუსტობის გასაჩივრების წესი განისაზღვრება "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით.

## თავი VI. კანდიდატთა წარდგენა, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენი

მუხლი 20. პარტიული სიების წარდგენა

1. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკრებულოების არჩევნებში დამოუკიდებ-ლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგინოს თითო პარტიული სია. პარტიულ სიებში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ამ კანონით დადგენილი წესით გათვალისწი-ნებული მანდატების შესაბამის რაოდენო-ბაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ოლქში ასარჩევ საკრებულოს წევრთა ორმაგ ოდენობას.

3. პარტიულ სიაში შეიძლება შეტანილ იქნენ მხოლოდ ამ პარტიის წევრები ან ის პირები, რომლებიც არ არიან არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიების წევრები, ხოლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგე-ნილ პარტიულ სიაში - მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წევრები ან ის პირები, რომლებიც არ არიან არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიების წევრები. დაუშვებელია ერთი და იმავე პიროვნების შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში, გარდა ამ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა.

4. კანდიდატთა შერჩევისა და პარტიული სიების შედგენის წესებს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწი-ნებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმ-დევრულად, სიის დასაწყისიდან, რიგის მიხედვით.

5. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს თითოეული კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და ძირითადი საქმიანობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა. პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ან შესაბამისი რეგიონალური ორგანოს ხელმძღვანელის, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია - ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ან შესაბამისი რეგიო-ნალური ორგანოს ხელმძღვანელთა ხელმოწერით.

6. პარტიულ სიებს თან უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად) მისი შევსების თარიღის მითითებით, სადაც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითი-თებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული პარტიული სიით, ხოლო თუ იგი წარდგენილია მაჟორიტარ კანდიდატადაც ამ რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქშიც - თანხმობა ამ ოლქში კენჭისყრაზეც. სააღრიცხვო ბარათებს პარტიის წარმო-მადგენელს წინასწარ გადასცემს შესაბა-მისი საოლქო საარჩევნო კომისია. საბუთების მიღებისთანავე პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

7. საკრებულოების არჩევნებში მონაწილეო-ბის მისაღებად პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა პარტიული სიები უნდა წარადგინონ არსებული მრავალმანდატიანი პროპორ-ციული საარჩევნო ოლქების საერთო რაოდენობის ნახევარში მაინც.

# კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ"

მუხლი 21. კანდიდატთა წარდგენა

1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებში მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება განცხა-დების შეტანის მეშვეობით აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ რაიონის საკრებულოს არჩევნებში წარდგენილ სიაში შეყვანილი კანდიდატი იმავდროულად შეიძლება შეყვანილ იქნეს ამ რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს პროპორცი-ულ არჩევნებში წარდგენილ სიაში (თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება), ან წარდგენილ იქნეს კანდიდატად ამ რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე (თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება).

3. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისად სოფელში, თემში, დაბაში მცხოვრები არანაკლებ 10 ამომრჩეველი, ხოლო ქალაქში - არანაკლებ 100 ამომრჩეველი.

4. კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრა-ვენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

5. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარსადგენად პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს კანდიდატთა სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია და ძირითადი საქმიანობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც ისინი არიან წარდგენილნი.

6. საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩე-ველთა საინიციატივო ჯგუფმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა, რის შემდეგაც უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის ან ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომერი, აგრეთვე დამოუკიდებელი კანდიდატის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგი წარდგენილია დამოუკიდებელ კანდიდატად. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად), რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში. სააღრიცხვო ბარათებს გასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისია. ერთ შევსებულ სააღრიცხვო ბარათს, თუ არის შესაბამისი კანდიდატის მხარდამჭერთა ხელმოწერების საჭირო რაოდენობა, საარჩევნო კომისია გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

7. საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს ეძლევა დათარიღე-ბული ცნობა საბუთების მიღებისა და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების უფლების შესახებ, აგრეთვე ხელმოწერათა ბლანკები.

8. ხელმოწერათა შევსებული და დანომრი-ლი ბლანკები ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ხელმოწერათა ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-40 დღისა უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

9. კანდიდატთა წარდგენა იწყება არჩევნე-ბამდე 48 და მთავრდება არჩევნებამდე 40 დღით ადრე.

10. თითოეული საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აწვდის მონაცემებს პროპორციულ არჩევნებში მონაწილე პარტიული სიებისა და მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა შესახებ მათი წარდგენის კანონიერების დადგენის მიზნით.

მუხლი 22. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა სია და მისი შემოწმება

1. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერებით შევსებული ყოველი ფურცლის თავში უნდა ეწეროს დამოუკიდებელი კანდიდატის სახელი, გვარი და მისი მხარდაჭერის ტექსტი. ყოველი ხელმოწერის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი. ხელმოწერებისათვის შეიძლება ფურცლის ორივე მხარის გამოყენება. ხელმოწერები დანომრილი უნდა იყოს. ფურცელს ხელს უნდა აწერდეს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მითითებული უნდა იყოს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

2. საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შეამოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. ბათილად მიიჩნევა იმ ბლანკზე შესრულებული ყველა ხელმოწერა, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ბათილად მიიჩნევა აგრეთვე მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერა, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ხელმომწერი ამომრჩეველი, აგრეთვე სხვა პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა, თუ ეს წერილობით დაადასტურა თვით ამომრჩეველმა. ხელმოწერებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა საჩივარს საარჩევნო კომისია მიიღებს მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

3. მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრებს, საჩივრის შეტანის შემთხვევაში კი – სასამართლო დაწესებულებებს. მხარდამჭერთა სიები ნადგურდება არჩევნებამდე 20 დღით ადრე.

მუხლი 23. პარტიული სიებისა და საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაცია

1. პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია მისთვის პარტიული სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

2. საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია: დამოუკიდებელ კანდიდატებს - მათი წარდგენიდან არა უადრეს მე-3 და არა უგვიანეს მე-8 დღისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დასახელებულ კანდიდატებს - მათი წარმოდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

3. კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ სამი დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიები კანდიდატებს გადასცემენ კანდიდატის მოწმობებს.

4. პარტიული სიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელთა) მიერ ხელმოწერილი განცხადება, თითოეული კანდიდატის სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად).

5. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელთა) წარდგინება და სააღრიცხვო ბარათი, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატისათვის კი - კანდიდატის სააღრიცხვო ბარათი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება, მხარდამჭერთა სია.

6. თუ წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, საარჩევნო კომისია პარტიულ სიას ან კანდიდატს რეგისტრაციაში არ გაატარებს.

7. დაუშვებელია ერთმა და იმავე პიროვნებამ კენჭი იყაროს სხვადასხვა პარტიული სიით ან შეტანილ იქნეს პარტიულ სიაში და იმავდროულად კენჭს იყრიდეს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ან კენჭს იყრიდეს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევე-ბისა. ამ მოთხოვნათა დარღვევისას კანდიდატურას არჩევნებიდან მოხსნის შესაბამისი საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისია. თუ ამის შემდეგ პარტიულ სიაში აღმოჩნდება ამ კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკრებულოს წევრობის კანდიდატთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები, პარტიულ სიას არჩევნებიდან მოხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისია.

8. პარტიული სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს ეძლევათ ნომრები შესაბამის საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენის რიგის მიხედვით, რაც ქვეყნდება პრესაში რეგისტრაციის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში საარჩევნო ოლქების მიხედვით. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ პარტიათა და საარჩევნო ბლოკების სია, რომელთაც უარი ეთქვათ სიების რეგისტრაციაზე ან მაჟორიტარი კანდიდატის დასახელებაზე, აგრეთვე უარის თქმის მიზეზები.

9. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, აგრეთვე დამოუკი-დებელ კადიდატებს უფლება აქვთ 3 დღის ვადაში გაასაჩივრონ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელისა - საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ საჩივრის შეტანიდან 2 დღის ვადაში.

10. ცენტრალური საარჩევნო კომისია საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის საარჩევნო რეგისტრაციას გაუუქმებს იმ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, რომლის პარტიული სია აღმოჩნდება არსებული მრავალმანდატიანი პროპორციული საარჩევნო ოლქების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებში.

მუხლი 24. კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

1. პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს, კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე, გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. წარდგენილ კანდიდატურას არჩევნებიდან მოხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისია ამ კომისიაში პარტიის, საარჩევნო ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენლის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის) მიერ ხელმო-წერილი განცხადების საფუძველზე.

2. კანდიდატს კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას, რომელიც ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. ინფორმაციას კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს შესაბამისი განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე სამ დღეზე ნაკლებია დარჩენილი - დაუყოვნებლივ. ყოველი საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მისაცემ კაბინაში აკრავს ინფორმაციას იმ კანდიდატის შესახებ, რომელიც შეყვანილია ბიულეტენში, მაგრამ არჩევნებში არ მონაწილეობს.

მუხლი 25. საარჩევნო ბიულეტენი

1. საკრებულოების არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდება (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) იმ თანამიმდევრობით, რომელიც წილისყრით განსაზღვრა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

3. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისა-თვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ შესაბამის' საკრებულოში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის სახელი, მამის სახელი და გვარი იმ პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდების მითითებით, რომელმაც დაასახელა კანდიდატი. ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ დასახელებულ კანდიდატს მიეწერება - ''დამოუკიდებელი კანდიდატი". კანდიდატე-ბის თაობაზე

# კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ"

მონაცემები საარ-ჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი კანდიდატის საარჩევნო კომისიაში რეგის-ტრაციის თანამიმდევრობით.

4. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას სახელმწიფო ენაზე.

5. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ბიულეტენების გადაცემას. ყოველ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და მდივანი ხელმოწერით ადასტურებენ.

## თავი VII
## საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

მუხლი 26. საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები განისაზღვრება "საქართველოს პარლამენ-ტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

## თავი VIII
## კენჭისყრის წესი. ხელახალი ხმის მიცემა და საკრებულოში არჩეულ წევრთა რეგისტრაცია

მუხლი 27. კენჭისყრის წესი

საკრებულოების არჩევნებისას კენჭისყრის დრო და ადგილი, კენჭისყრის მოწყობა განისაზღვრება ამ კანონისა და "საქართვე-ლოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 28. კენჭისყრის ჩატარება

1. საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩე-ველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებ-ლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი საარჩევნო კომისიის წევრის, ნდობით აღჭურვილი პირის, კანდიდატის, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის გარდა.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისა-თვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველი შემოხაზავს მხოლოდ იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის პარტიული სიის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენებს კი გადახაზავს.

3. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების თაობაზე, ამომრჩეველი შემოხაზავს არაუმეტეს იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი შესაბამის საარჩევნო ოლქში.

4. თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება.

5. შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

6. კენჭისყრის შენობა იღება 7 საათზე და იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

მუხლი 29. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

1. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულე-ტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მიეთითოს გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა. პაკეტზე ხელს აწერენ კომისიის თავმჯდო-მარე. (მოადგილე) და მდივანი და სვამენ კომისიის ბეჭედს. ამავე წესით დაითვლება და პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენებიც.

2. ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მას და ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ ოქმს უნდა დაერთოს კომისიის ახსნა-განმარტება.

4. კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთში არსებულ სხვადასხვა სახის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტე-ნები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის სხვადასხვა სახის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ბიულეტენების კონვერტიდან ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა.

5. პროპორციული სისტემით არჩევნებისას ბიულეტენი ნამდვილად იქნება ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ამ კანონით დადგენილი წესით შესაბამისად ერთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს მისცა ხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

6. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებისას ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ხმა მისცა იმაზე მეტ კანდიდატს, რამდენიცაა ასარჩევი შესაბამის საარჩევნო ოლქში.

7. საარჩევნო ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობლი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ პარტიულ სიას ან კანდიდატს (კანდიდატებს) მისცა ხმა ამომრჩეველმა.

8. თუ საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობა საეჭვოა, საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

9. პროპორციული სისტემით არჩევნებისას კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის თითოეული სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები კონვერტში ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც ამ მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიის სახელწოდება, ნომერი და ბიულეტე-ნების რაოდენობა.

10. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას. კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები კონვერტში ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც ამ მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა.

11. საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილე ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. რაიონის და იმ სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს ერთ ოქმს, რომელშიც მითითებულია ყოველი პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმში აგრეთვე მითითებული უნდა იყოს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ნამდვილად და ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა (ცალკე უნდა იყოს აღნიშნული დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობა), არჩევნების შედეგად ყოველი სიის ან კანდიდატის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა. ოქმის ცალთა რაოდენობა ოთხით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი შესაბამისად პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენო-ბას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

12. ოქმის ორი ცალი და ყველა საარჩევნო ბიულეტენი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. ოქმის ერთი ცალი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში, მეორე კი შესაბამისად უნდა ჩაბარდეთ კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. საარჩევნო კომისია ვალდებულია შედეგების შეჯამების შემდეგ ოქმის მონაცემები ხმების დათვლის შედეგების შესახებ დაუყოვნებ-ლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის.

13. საარჩევნო უბანში ხმების დათვლისას სავალდებულოა ამ მუხლით დადგენილ მოქმედებათა თანამიმდევრობის დაცვა.

მუხლი 30. საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა. რჩევნების შედეგების გამოქვეყ-ნება

1. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნები მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედი.

2. პროპორციული სისტემით სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოს პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იმ საკრებულოების არჩევნებში, სადაც ასარჩევია 21 წევრზე მეტი, მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ სიებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ ხუთი პროცენტი.

3. თუ სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი საარჩევნო ოლქში მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ სიებს, რომლებმაც არჩევნებში მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც. ამ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

4. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოებში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

5. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების თანახმად მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტე-ნების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, კანდიდატთა-თვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

6. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების მრავალმან-დატიან საარჩევნო ოლქში ამ კანონის მიხედვით, საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის შესაბამისად, არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული საოლქო საარჩევნო კომისიაში.

7. საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბანში, სადაც უხეშად დაირღვა ეს კანონი. საჩივარი კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნების

# კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ"

ბათილად ცნობის შესახებ კომისიამ უნდა მიიღოს ორი დღის ვადაში. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზედაც შესაძლოა არჩევნებს ბათილად ცნობა, დაუშვებელია საოლქო საარჩევნო კომისიაში სიების ან კანდიდატების მიერ მიღებული ხმების დათვლა.

8. საარჩევნო ოლქში არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, თუ იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად ჩაითვალა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20%-ზე მეტია.

9. თუ არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას, რომელიც საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს.

10. თუ ხელახალი ხმის მიცემისას არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ხელახალი ხმის მიცემის ჩატარებიდან ორი თვის ვადაში ატარებს ხელახალ არჩევნებს.

11. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

12. ოქმის ცალთა რაოდენობა ოთხით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენო-ბას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს ესმება კომისიის ბეჭედი.

13. ოქმის პირველი ცალი არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ინახება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემათ საკრებულოს სამანდატო კომისიას და პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია შედეგების შეჯამების შემდეგ ოქმი დაუყოვნებლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის.

14. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) იმ საარჩევნო უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომ-რჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები;

ბ) საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ასარჩევ პირთა რაოდენობა, არჩეულ პირთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

15. შედეგების შეჯამებიდან ათი დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებუ-ლოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე არჩეული საკრებულოს წევრების პარტი-ულობა, დაბადების წელი, პროფესია, ძირითადი საქმიანობა, სამუშაო ადგილი.

მუხლი 31. ხელახალი ხმის მიცემა

1. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო ოლქში ინიშნება საერთო არჩევნებიდან ორი კვირის თავზე, თუ ამ ოლქში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი. ხელახალ ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება აქვთ ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას, საარჩევნო ბლოკსა და დამოუკიდებელ კანდიდატს.

2. ხელახალი ხმის მიცემისას არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება მიუხედავად მასში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა.

3. ხელახალი ხმის მიცემისას კენჭისყრა, ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების დადგენა ხდება ამ კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სათანადო ოქმი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა ჩაბარდეს ხუთი დღის ვადაში, ხოლო არჩევნების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს ერთი კვირის ვადაში.

მუხლი 32. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე, საკრებულოების არჩევნების ჩატარებიდან 20 დღის ვადაში, თავის სხდომებზე აჯამებს პროპორციული სისტემით ასარჩევი საკრებულოების არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში.

2. ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე კი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.

3. ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები, აგრეთვე ყოველ შესაბამის საკრებულოს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ამომრჩე-ველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, საკრებულოს არჩეულ წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

4. პროპორციული სისტემით ასარჩევი საკრებულოების არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ცენტრალურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

მუხლი 33. საკრებულოში არჩეულ წევრთა რეგისტრაცია

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის, რაიონის საკრებულოებში არჩეულ წევრებს და აძლევს მათ საკრებულოს წევრად არჩევის მოწმობებს.

მუხლი 34. საკრებულოს გამოკლებული წევრის შენაცვლება

თუ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მის ადგილს შესაბამის საკრებულოში ორი კვირის ვადაში დაიკავებს იმავე სიაში რიგით მიმდევნო კანდიდატი (პროპორციული სისტემით არჩეუ: საკრებულოებისათვის) ან საკრებულოს წევრად აურჩეველ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი (მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოსათვის), თუ იგი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანდიდატი სიიდან ამოიღება და ვაკანტურ ადგილს დაიკავებს მისი მომდევნო კანდიდატი. თუ წარდგენილ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

### თავი IX
### პასუხისმგებლობა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 35. პასუხისმგებლობა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

1. პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება – აირჩიოს და იყოს არჩეული წარმომადგენლობით ორგანოებში, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, ერევიან საარჩევნო კომისიების საქმიანობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალე-ობების შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებებით ავრცელებენ კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევიან არჩევნების დღეს, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრებს, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებ-ლობით დადგენილი წესით.

2. იმ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ან არამართლზომიერად გამოიყენებენ სახსრებს, ჩამოერთმევათ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში - საკრებულოებში მათ მიერ მოპოვებული მანდატები და გამოკლებული წევრების ნაცვლად არჩევნებში მონაწი-ლეობის უფლება, აგრეთვე ეკრძალებათ საკრებულოების მომდევნო ორი მოწვევის განმავლობაში ადგილობრივი წარმო-მადგენლობითი ორგანოების - საკრე-ბულოების არჩევნებში მონაწილეობა. ასეთი დარღვევების საქმეს განიხილავს ის სასამართლო, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზედაც მოხდა კანონის დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

### თავი X
### გარდამავალი დებულებანი

მუხლი 36. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველი არჩევნების ჩატარება და მასში მონაწილეობა

1. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველი არჩევნები არ ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც არ ვრცელდება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა იურისდიქცია.

2. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველი არჩევნებში არ მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული - დევნილი ამომრჩევლები.

მუხლი 37. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში ბიულეტენების დამზადების წესი

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას სახელმწიფო ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე საარჩევნო ოლქის მოსახლეობი უმრავლესობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

მუხლი 38. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა საკრებულოების არჩევნების მომზადებაში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებამდე ამ კანონით მათზე დაკისრებ; უფლებამოსილებებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების პირველი არჩევნების მომზადებისათვის ასრულებენ 'საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართვე-ლოს კანონის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 მაისის დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ორგანოები.

მუხლი 39. ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის, რეგისტრაციისა და სიების შედგენის წესი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში ამ კანონით განსაზღვრული ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის, რეგისტრაციისა და სიების შედგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს სამი თვისა.

### თავი XI
### დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40. კანონის ძალადაკარგულად ცნობა და ამოქმედება

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საქართვე-ლოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოთა არჩევნების შესახებ" (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №1, მუხ.16).

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 25 ივნისი.

# საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად №15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში 1998 წლის 7 ივნისს ჩატარებული არჩევნების მონიტორინგის ანგარიში

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ჩაატარა 1998 წლის 7 ივნისს № 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად ახალი წევრის არჩევნების მონიტორინგი. ჩვენი საზოგადოების 1998 წლის 9 და 24 ივნისის პრეს-რელიზებში მოკლედ უკვე იყო გადმოცემული როგორც 7 ივნისის არჩევნების, ისე 21 ივნისს № 17 და № 18 საარჩევნო უბნებში ჩატარებული ხელახალი ხმის მიცემის მონიტორინგის შედეგები. წინამდებარე ანგარიში არის მონიტორინგის შედეგების ამსახველი საბოლოო დოკუმენტი. მასში გამოყენებულია როგორც ჩვენი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული მასალები, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაცია.

დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ გარდა სადამკვირვებლო საქმიანობისა, წინასაარჩევნო პერიოდში "სამართლიანი არჩევნები" ცდილობდა ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში დახმარებოდა ამომრჩევლებს მეტი ინფორმაცია მიეღოთ როგორც არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისა და მათი პროგრამების, ისე ხმის მიცემის პროცედურისა და ამომრჩევლის უფლებების შესახებ. ამ მიზნით, საზოგადოებამ 22 მაისს ლაგოდეხში მოაწყო პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საჯარო დებატები, რომელზეც მოიწვია ყველა კანდიდატი და გაავრცელა ამომრჩევლის სამახსოვროები.

"სამართლიანი არჩევნების" უპარტიო დამკვირვებლები მონიტორინგს ახორციელებდნენ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე ხმის მიცემის დღეს № 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის 24-ვე უბანზე. მონიტორინგის მიზანი იყო დავკვირვებოდით არჩევნების პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის: საარჩევნო კომისიების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, პარლამენტის წევრობის კანდიდატების, აგრეთვე, მათი ნდობით აღჭურვილი პირებისა თუ მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცხადია, რიგით ამომრჩეველთა მოქმედებას არჩევნების პროცესში.

მიმდინარე და მომავალი ორი წელიწადი საქართველოსთვის სამი დიდი არჩევნების წლებია. წელს შემოდგომაზე გველოდება საკრებულოების არჩევნები, გაისად პარლამენტისა, ხოლო შემდეგ კი პრეზიდენტის არჩევნები. ამდენად, ლაგოდეხის არჩევნებს უნდა გამოევლინა ამომრჩეველთა სადღეისო განწყობა და პრიორიტეტები. ეს გარემოება თავისთავად აძლიერებდა ინტერესს ამ არჩევნებისადმი.

"სამართლიანი არჩევნებისთვის", როგორც არჩევნების მეთვალყურე არაპარტიული ორგნიზაციისთვის, ლაგოდეხის არჩევნებს პასუხი უნდა გაეცა სულ მცირე რამდენიმე კითხვაზე: რამდენად არიან მზად საარჩევნო კომისიები იმოქმედონ კომპეტენტურად და კანონის შესაბამისად? შეძლეს თუ არა ხელისუფლების ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და ელექტორატის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თუნდაც ნაწილობრივ დაეძლიათ სამართლებრივი ნიჰილიზმი, რომელიც ახასიათებდა 1995 წლის არჩევნებს? ხდება თუ არა არჩევნები საქართველოში საზოგადოებრივი კონსენსუსის მთავარი მექანიზმი?

სამწუხაროდ, მონიტორინგის შედეგები ყველა ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს გვაძლევს.

მართალია წინასაარჩევნო პერიოდში "სამართლიან არჩევნებს" არ დაუფიქსირებია კანონის ისეთი უხეში დარღვევები, რომლებიც არჩევნების საბოლოო შედეგებზე იმოქმედებდა, მაგრამ დაირღვა საოლქო და საუბნო კომისიებში წევრთა დანიშვნის საპროცედურო წესები, რამაც ხელი შეუწყო დაძაბულობისა და ურთიერთუნდობლობის ატმოსფეროს შექმნას. მიგვაჩნია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სპეციალურად შექმნილ კომისიას ამგვარი დარღვევები უფრო პრინციპულად რომ შეეფასებინა, ეს სტიმულს მისცემდა არჩევნების მთელი შემდგომი პროცესის კანონიერ კალაპოტში წარმართვას.

მთელი რიგი საარჩევნო უბნებისა მოუმზადებელი შეხვდა ხმის მიცემის დღეს. ბევრგან არ იყო გამოკრული ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სიები, ბიულეტენის შევსების წესები. იგრძნობოდა ფარული ხმის მიცემის კაბინების ნაკლებობა, რაც ქმნიდა რიგებსა და არეულობას.

ამომრჩევლისადმი უპატივცემულობას ადასტურებს ისიც, რომ კაბალისა და განჯალა-უზუნთალას უბნების ამომრჩევლები, რომელთა უმრავლესობამ ქართულად წერა-კითხვა არ იცის, არ უზრუნველყვეს მათთვის გასაგებ ენაზე დაბეჭდილი ბიულეტენებით. ცხადია, უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა ჩვენმა არაქართველმა მოქალაქემ იცოდეს სახელმწიფო ენა, მაგრამ რადგან ამას, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვახერხებთ, იმაზე მაინც უნდა ვიზრუნოთ, რომ ისინი არსებითად ჩავაბათ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეთა ეს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დიდხანს იქნება მანიპულირების ობიექტი. ლაგოდეხის არჩევნებმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ჯერ კიდევ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის 1995 წლის არჩევნების მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ საარჩევნო, განსაკუთრებით საუბნო კომისიების თავმჯდომარეები და წევრები ხშირად ვერ ერკვევიან საარჩევნო კანონმდებლობაში, არ იციან თავისი უფლება-მოვალეობანი. ხშირად მოქმედებენ კანონსაწინააღმდეგო მითითებებით და ადვილად განიცდიან გავლენიანი პირების ზემოქმედებას. ამაში ლაგოდეხის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

უკანონოდ მიგვაჩნია ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების მითითება საუბნო საარჩევნო კომისიებისადმი, რომლის მიხედვითაც პირადობის დამადასტურებელი საბუთის არმქონე ამომრჩეველს შეუძლია ხმის მიცემა, თუკი ორი საბუთიანი ამომრჩეველი დაადასტურებს მის პიროვნებას. გვწამს, რომ ეს მითითება ამომრჩევლისთვის თავისი სამოქალაქო უფლების გამოყენების გაადვილების სურვილით არის ნაკარნახევი. მეორე მხრივ, ასეთი "საბუთის" იურიდიულ არასრულფასოვნებაში ცსკ ადვილად დარწმუნდება, თუკი დაინტერესდება - შემოუშვებს კი მსგავსი "პირადობის დამადასტურებელი საბუთით" მისივე შენობის შესასვლელში მდგარი დაცვა რომელიმე მოქალაქეს? ცხადია არა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მოგვწონს ცსკ-ში დაწესებული მკაცრი სასაშვო სისტემა, არამედ ხაზს ვუსვამთ საარჩევნო კანონის მოთხოვნისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, თუნდაც იგი კეთილშობილური მოტივებით იყოს ნაკარნახევი. მთავარი ისაა, რომ ამ მითითებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა არაკეთილსინდისიერ ამომრჩეველთა მიერ სხვის მაგივრად ხმის მიცემასა და კენჭისყრაში რამდენჯერმე მონაწილეობას. მიგვაჩნია, რომ ეს მითითება უნდა გაუქმდეს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ჩარევა საარჩევნო კომისიების საქმიანობაში. ამას დაემატა კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირებისა და მრავალრიცხოვანი პარტიული დამკვირვებლების აქტიური ჩარევაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ მეთვალყურეთა როლში ხშირად პარლამენტის წევრები, ხელისუფლების თანამდებობის პირები და პარტიული ლიდერები გვევლინებოდნენ, ადვილი წარმოსადგენი გახდება კომისიებზე ზეგავლენის მასშტაბები. ამ მხრივ აშკარად გამოირჩეოდნენ საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის მხარდამჭერები. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ გადაწყვეტილებებს კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები და პარტიული მეთვალყურეები იღებდნენ.

მასობრივი ხასიათი მიიღო სერიოზულმა დარღვევებმა № 17 და № 18 საარჩევნო უბნებზე. ამ უკანასკნელზე ბიულეტენების გატაცების მცდელობაც კი მოხდა, თუმცა ამ დროისათვის შედეგები უკვე შეჯამებული იყო. ამდენად, ჩვენთვის გასაგებია გადაწყვეტილება ამ უბნებზე ხმის მიცემის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ.

№ 17 და № 18 უბნებზე ხელახალი ხმის მიცემის დღისთვის აღნიშნულმა პარტიებმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელს ამოფარებული პარტიული დამკვირვებლების ხარჯზე კიდევ უფრო გააძლიერეს თავისი "პარტიულ მეთვალყურეთა დესანტები". პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ამ გარიგების შედეგად მეტოქე პარტიების ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად დადგნენ პატიმართა, მედიკოსთა, ახალგაზრდა შემოქმედთა, მშვიდობის, ეკონომიკური პროგრესისა თუ სამოქალაქო კულტურის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების "წარმომადგენლები".

სამწუხაროდ, ბიულეტენების გატაცების მცდელობასთან ერთად საარჩევნო აჟიოტაჟს არ დაკლებია არც გინება და ქუჩის ჯგუფური ჩხუბები, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის წევრები, მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის თბილისელი და ადგილობრივი აქტივისტები. ლაგოდეხელი ელექტორატი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩვენში არ არსებობს აკრძალული მეთოდები. სამწუხაროდ, ჯერ არავის არაფრისთვის არ უგია პასუხი.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით № 17 საარჩევნო უბანში 21 ივნისს ხელახალი ხმის მიცემისას განმეორდა თითქმის ყველა ის სერიოზული დარღვევა, რაც მოხდა 7 ივნისს. ამდენად გაუგებარი რჩება, რა მოსაზრებებით იხელმძღვანელა საოლქო საარჩევნო კომისიამ (და მასთან ერთად ცსკ-მ), როდესაც ბათილად მიიჩნია ამ უბანზე 7 ივნისის ხმის მიცემის შედეგები, ხოლო 21 ივნისის ხელახალი ხმის მიცემის შედეგები ძალაში დატოვა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ № 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში ხმის მიცემის პროცედურა ჩატარდა საარჩევნო კანონის უხეში დარღვევებით, რომლებიც განაპირობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის უკანონო მითითებამ, რიგი საუბნო საარჩევნო კომისიების არაკომპეტენტურობამ და უსუსურობამ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და პარტიული მეთვალყურეების უხეშმა ჩარევამ საარჩევნო კომისიების საქმიანობაში და ამომრჩეველთა ნაწილის დაბალმა სამართლებრივმა და სამოქალაქო კულტურამ. ასეთი არჩევნები ვერ პასუხობს სამართლიანი არჩევნების საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმებს.

## საერთაშორისო საზოგადოება "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა ინფორმაცია

1998 წლის აპრილის თვეში № 15 ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის შესახებ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, რაიონში არჩევნების ჩასატარებლად შექმნა საუბნო საარჩევნო კომისიები, სულ შეიქმნა 24 ასეთი უბანი. საოლქო საარჩევნო კომისიის ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 1998 წლის 22 მაისს ლაგოდეხის ახალგაზრდობის გაზეთ "ლაგოდეხში" (№ 3). საოლქო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა პოლიტიკური პარტიებიდან და საინიციატივო ჯგუფებიდან წარდგენილი ყველა (9) კანდიდატი:

1. ბარბაქაძე ლევან - წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ;
2. სირაძე ზაურ - წარდგენილია ლეიბორისტული პარტიის მიერ;
3. წერეთელი ირაკლი - წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ;
4. ხიდეშელი გიორგი -წარდგენილია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ
5. კაპანაძე დავით - წარდგენილია საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ;
6. ბაქრაძე ვალერიან - წარდგენილია საქართველოს სოციალისტური პარტიის მიერ;
7. ვენჯელაშვილი გივი - წარდგენილია მერაბ კოსტავას საზოგადოების მიერ;
8. დათუაშვილი ივანე - წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ;
9. მესხიშვილი აკაკი - წარდგენილია სახალხო პარტიის მიერ

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 8 კანდიდატმა, ედპ-ს წარმომადგენელმა გიორგი ხიდეშელმა შემდგომ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ამომრჩეველთა სიები არჩევნებამდე 10 დღით ადრე გამოკრული იყო ძირითადად ყველა საარჩევნო უბანში. მათი შედგენისას მნიშვნელოვან დარღვევებს ჰქონდა ადგილი. როგორც ეს არჩევნების დღეს აღმოჩნდა, მრავალი მოქალაქე არ იქნა შეტანილი ამომრჩეველთა სიაში. არჩევნების დღეს ასეთი ამომრჩევლების რიცხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა, რამაც შეაფერხა კომისიის მუშაობა. გამომდინარე აქედან, არჩევნებამდე ყველა ამომრჩეველმა ვერ მიიღო ამომრჩევლის ბარათი.

წინასაარჩევნო კამპანია დაძაბულად

(გაგრძელება 17–ე გვერდზე)

# საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად №15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში 1998 წლის 7 ივნისს ჩატარებული არჩევნების მონიტორინგის

# ანგარიში

მიმდინარეობდა და მან თავის აპოგეას შაბათს, 20 ივნისს, ხელახალი ხმის მიცემის წინადღეს მიაღწია. მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ამ დღეს ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს.

გამოკვეთილ წინასაარჩევნო კამპანიას ძირითადად ორი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები აწარმოებდნენ. სწორედ ისინი იყვნენ, უმეტესწილად, ადგილობრივი და დედაქალაქის პრესის ყურადღების ცენტრში. 1998 წლის 22 მაისის ლაგოდეხის რაიონის ახალგაზრდობის გაზეთ "ლაგოდეხის" მე-3 ნომერში გამოქვეყნდა არჩევნებში მონაწილე პარლამენტის წევრობის ყველა კანდიდატის ბიოგრაფია და ივანე დათუაშვილის, ვალერიან ბაქრაძის, დავით კაპანაძის და ზაურ სირაძის წინასაარჩევნო პროგრამები. ლაგოდეხის ახალგაზრდობის გაზეთი "ლაგოდეხი" საქართველოს მოქალაქეთა კავშირიდან წამოყენებულ კანდიდატს უჭერდა მხარს. (იხ. გაზეთი ლაგოდეხი №4). თავის მხრივ, სოციალისტური პარტიის წინასაარჩევნო აგიტაცია წარმოებდა სოცილისტური პარტიის გაზეთში "საქართველო დღეს" (იხ. გაზეთი "საქართველო დღეს" №7 , №9 სპეციალური გამოშვება). მოქალაქეთა კავშირის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა და საიგიტაციო მასალა გამოქვეყნდა, აგრეთვე, გაზეთ "თაობის" სპეციალურ გამოშვებაში. საინციატივო ჯგუფის მიერ წამოყენებულმა პარლამენტის წევრობის კანდიდატმა ლევან ბარბაქაძემ და ლეიბორისტული პარტიის კანდიდატმა ზაურ სირაძემ თავიანთი პროგრამები საიგიტაციო ფურცლების სახით წარმოადგინეს. როგორც ჩანს, პარლამენტის წევრობის ყველა კანდიდატს არ ჰქონდა წინასაარჩევნო აგიტაციისათვის მასმედიის გამოყენების თანაბარი პირობები, თუმცა ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში დაბრკოლება არცერთ მათგანს არ ჰქონია.

ლაგოდეხის არჩევნებს აშუქებდა დედაქალაქის პრესაც. პრესაში სუსტად აისახა წინასაარჩევნო პერიოდის მსვლელობა. მაისის თვეში პრესაში (ძირითადად "ახალ თაობაში" და "ალიაში"), ამ საკითხებთან დაკავშირებით, სულ რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა, რომელთა უმეტესობა ამა თუ იმ პარტიის ლიდერის პოზიციას გადმოსცემდა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

გაზეთ "ახალ თაობაში"(იხ. 6 მაისის "ახალი თაობა") გამოქვეყნდა სტატია სათაურით "საარჩევნო ყუთთან ეუბნაც რომ დადგეს, ჩემი კანდიდატი მაინც გავა". სტატიაში გადმოცემულია ვახტანგ რჩეულიშვილის და იური ჩიხრაძის დამოკიდებულება სათლელ საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევებისადმი. კერძოდ, საუბნო კომისიაში წევრთა დანიშვნის კანონით დადგენილი პროცედურის უგულებელყოფის ფაქტებზე.

პუბლიკაციების რაოდენობა გაიზარდა არჩევნების ჩატარების შემდეგ. 8, 9, 10, 22, 23 ივნისის "ახალი თაობის", "ალიას", "რეზონანსის", "საქართველოს გაზეთის," "ახალი შეიდი დღის" ფურცლებზე არჩევნებთან დაკავშირებით მრავალი მასალა გამოქვეყნდა. ჟურნალისტური გამოძიება ან მონიტორინგი წინასაარჩევნო და არჩევნების დღის მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით, პრესას არ ჩატარებია. პრესამ თავი შეიკავა არჩევნების შედეგების შეფასებისაგანაც. თითქმის ყველა პუბლიკაციაში ჟურნალისტები ხაზს უსვამდნენ მხოლოდ იმას, რომ ლაგოდეხში გამართული არჩევნები "დიდი არჩევნების პატარა მაგალითია". გაზეთი "ახალი თაობა", "ალია", "ახალი შეიდი დღე" საკუთარ ფურცლებს უთმობდა სოციალისტური პარტიისა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ლიდერებს ან ცდილობდა ორივე მხარის პოზიციის წარმოჩენას, რომლის არსი ერთმანეთის დადანაშაულებაში და ბრალდებათა წაყენებაში მდგომარეობდა. წერილების უმეტესობა სკანდალებისა და პიკანტური ისტორიების გადმოცემაზე იყო ორიენტირებული.

პრესის მეშვეობით პოლიტიკური ძალები (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და სოციალისტური პარტია) ცდილობდნენ გაებათილებინათ ერთმანეთის არგუმენტები და ახალი სამხილი გამოენახათ. პრესა პოლიტიკური რუპორის როლში გამოდიოდა და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთი "რეზონანსი" 10 ივნისის ნომერში, რომ პოლიტიკური ძალების მიერ "ურთიერთბრალდებებში კანონის უპატივცემულობა იკითხებოდა". საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები "ჯენტლმენურად" თანხმდებოდნენ, თუ რამდენი დამკვირვებელი ჰყოლოდათ საარჩევნო უბანზე, ხოლო აბგარ "შეთანხმებას" პრესა უკომენტაროდ აქვეყნებდა (იხ. "ახალი თაობა", 22 ივნისი, №169).

უდაოა, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისათვის მასმედიის მონაწილეობას არჩევნების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. მასმედია ლაგოდეხში გამართულ არჩევნებში ძირითადად პოსტ-ფაქტუმ აშუქებდა მოვლენებს. არადა, სასურველი იქნებოდა პრესას თვითონაც ჩაეტარებინა მონიტორინგი არჩევნებზე და შეეფასება მიეცა შედეგებისათვის.

### ხმის მიცემის დღეს დაფიქსირებული დარღვევები

1998 წლის 7 ივნისს ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქში, რომელიც თავის მხრივ დაყოფილი იყო 24 საარჩევნო უბნად, დაკვირვებაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოება "სამართლიანი არჩევნების" 27-მა დამკვირვებელმა. დაკვირვებამ მოიცვა ყველა უბანი. გარდა ამისა, არჩევნების დღეს უბნებზე საარჩევნო პროცესს აკვირდებოდა "სამართლიანი არჩევნების" მობრავი ჯგუფი.

1. საარჩევნო უბნები ხშირ შემთხვევაში არ იყო სათანადოდ მომზადებული კენჭისყრის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის (საარჩევნო კანონის 50-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა). არ იყო გამოკრული ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სიები, საარჩევნო უბნებში არ იყო მოთავსებული ერთ სივრცეში (ერთ ოთახში მოთავსებული იყო კომისია, მეორეში - კაბინები, ხოლო მესამეში - საარჩევნო ყუთი), რაც ართულებდა დაკვირვების პროცესის სრულყოფილად ჩატარებას. აღსანიშნავია უბნების სივიწროვე და კაბინების სიმცირე, რამაც გამოიწვია ხალხმრავლობა, ფარულობის პრინციპის დარღვევა და ბიულეტენების შევსების დროს უცხო პირთა ჩარევა. ზოგიერთ საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგების შეჯამებისას (20 საათის შემდეგ) არ იყო მოწესრიგებული ელ. განათება. ასეთი დარღვევები დაფიქსირებულია კაბალის №17, განჯალა-უზუნთალის №18 , ნინიგორის №6 და თელის №9 საარჩევნო უბნებში.

განმეორებითი ხმის მიცემის დღეს, 21 ივნისს განჯალა-უზუნთალას №18 საარჩევნო უბანი გადატანილ იქნა სხვა შენობაში, რომელიც ასევე მოუწყობელი და არასათანადოდ მომზადებული იყო კენჭისყრის პროცესის წარმართვისათვის. არაფერი შეცვლილა კაბალის №17 საარჩევნო უბანშიც, რომელიც ასევე ტექნიკურად მოუწყობელი იყო.

2. ამომრჩეველთა მიერ კენჭისყრაში მასობრივი მონაწილეობა პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე (საარჩევნო კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა) მაწიმის №1, კავკასიონის №2, ჭიაურაძის №3, ლაგოდეხის №4, ნინიგორის №6, გურჯიანის №7 , თამარიანის №11, კართუბნის №13, ფონის №15, კაბალის №17, განჯალა-უზუნთალის №18, ლელიანის №23 საარჩევნო უბნებში. ამ უბნებში ცსკ-ს მითითების თანახმად, რომელსაც ხელს აწერდა იურიდიული განყოფილების უფროსი ლადო სანიკიძე, უსაბუთო ამომრჩევლებს პირადობას უდასტურებდა პირადობის დამადასტურებელი საბუთის მქონე ორი პიროვნება. ეს პიროვნებები ამომრჩეველთა უმრავლესობას არც კი იცნობდნენ. აქედან გამომდინარე ბევრი მოქალაქე ორჯერ და მეტჯერ აძლევდა ხმას. ბაისუბნის №16 საარჩევნო უბანში ამომრჩეველმა სამხრამ ორჯერ ჩააგდო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში. განჯალა-უზუნთალას №18 საარჩევნო უბანში მოქ. მახრამ აიუბოვმა ალიარა მის მიერ განმეორებით ხმის მიცემის ფაქტი. ხოლო საარჩევნო ასაკს მიუღწეველ გულბაზის ადიგოზალოვაზე კომისიის წევრმა გასცა ბიულეტენი.

3. კომისიის მუშაობის არაორგანიზებულობის გამო დაგვიანებით დაიწყო კენჭისყრა ვარდისუბნის №10 საარჩევნო უბანში - 7 საათსა და 25 წუთზე და კაბალის №17 საარჩევნო უბანში 7 საათსა და 50 წუთზე (საარჩევნო კანონის 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა).

4. ადგილობრივი და ზოგჯერ ცენტრალური სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებსაც საარჩევნო უბნებში ყოფნის უფლება არ ჰქონდათ, უხეშად ერეოდნენ არჩევნების პროცესში და თავიანთი ქმედებებით ზეწოლას ახდენდნენ როგორც ამომრჩევლებზე, ასევე კომისიის წევრებზეც (საარჩევნო კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა). ნინიგორის №6 საარჩევნო უბანში სოფლის გამგეობის თავმჯდომარე ალიომა მაჩაიძე უხეშად ერეოდა კომისიის საქმიანობაში. ლაგოდეხის №4 საარჩევნო უბანში ურთიერთშელაპარაკება პარლამენტის წევრებს ჯაყელსა და ჯგუშიას შორის ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა, რამაც არეულობა შეიტანა არჩევნების პროცესში. ბაისუბნის №16 საარჩევნო უბანში დაფიქსირდა საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის შემსრულებლის მალხაზ მაჭარაშვილის მხრიდან აგიტაციისა და ამომრჩევლებზე ზეწოლის ფაქტები.

5. დაფიქსირდა საარჩევნო უბნებში აგიტაციის ფაქტები. (საარჩევნო კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა). კავკასიონის №2 საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა ჯგუფს დაურიგეს კანდიდატების - ბაქრაძისა და ბარბაქაძის საიგიტაციო ბარათები. თელის №9 საარჩევნო უბანში ზოგიერთი დამკვირვებელი და კომისიის წევრები "ინსტრუქტაჟს" უტარებდნენ ამომრჩევლებს კაბინებში შესვლამდე. განჯალა-უზუნთალას №18 საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად მოსულ სამხედრო მოსამსახურეებს დაუდგენელი პირები "ურჩევდნენ" ხმა მიეცათ კაპანაძისათვის.

6. პარტიული დამკვირვებლები ერეოდნენ არჩევნების პროცესში (საარჩევნო კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა): ლაგოდეხის №4, ვარდისუბნის №10, ბაისუბნის №16, კაბალის №17, განჯალა - უზუნთალას №18, კარაჯალის №24 საარჩევნო უბნებში. ბაისუბნის №16 საარჩევნო უბანში დამკვირვებელი გურამ დვალამე სთავაზობდა ამომრჩეველ ხათუნა ბოგაძეს სხვის მაგივრად მიეცა ხმა. ხოლო კაბალის №17 და განჯალა - უზუნთალას №18 საარჩევნო უბნებში ამ პროცესებმა მიიღო უმართავი ხასიათი. აქ სისტემატურად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სმკ-ს და სოციალისტური პარტიის დამკვირვებლები, ამ პარტიების კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები როგორც სიტყვიერად, ასევე ფიზიკურად, რამაც გამოიწვია სიტუაციის უაღრესად დაძაბვა, საარჩევნო პროცესის პარალიზება.

7. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა არ იცოდნენ საარჩევნო კანონი, რამაც გამოიწვია მათი არაორგანიზებული მუშაობა და მათ საქმიანობაში სხვადასხვა პარტიულ დამკვირვებელთა ჩარევა. ასეთი ფაქტები დაფიქსირებულია ნინიგორის №6 , კაბალის №17 და განჯალა-უზუნთალას №18 საარჩევნო უბნებში.

8. მეთვალყურეებს არ მისცეს უფლება დასწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ბიულეტენების დათვლის პროცესს (საარჩევნო კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა). ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა განჯალა-უზუნთალას №18 საარჩევნო უბანში. ამავე უბანზე "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლები პოლიციის თანამშრომლებმა არ შეუშვეს საარჩევნო უბნის ეზოში. ეზოში შეღწევის შემდეგ კი მათ იგივე პოლიციის თანამშრომლები არ უშვებდნენ თვით უბანში (საარჩევნო კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა). მხოლოდ დამკვირვებლების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ისინი დაუშვეს უბანში.

### ხელახალი ხმის მიცემა კაბალის №17 და განჯალა-უზუნთალას №18 საარ-ჩევნო უბნებში.

7 ივნისის არჩევნებში დაფიქსირებული სერიოზული დარღვევების გამო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმა ამ ორი უბნის შედეგები და დანიშნა ხელახალი ხმის მიცემა 21 ივნისს.

საერთაშორისო საზოგადოება "სამართლიანი არჩევნების" განმეორებითი ხმის მიცემის დღეს ორივე უბანზე ჰყავდა თავისი დამკვირვებლები. კაბალის №17 უბანში ამ უკანასკნელებმა კვლავ დააფიქსირეს საარჩევნო კანონის იგივე სერიოზული დარღვევის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 7 ივნისს: ამომრჩეველთა მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა პირადობის დამადას-

## საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად №15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში 1998 წლის 7 ივნისს ჩატარებული არჩევნების მონიტორინგის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

ტურებელი საბუთების გარეშე, აგიტაცია, პარტიული დამკვირვებლებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ზეწოლა კომისიის წევრებსა და ამომრჩევლებზე, ამომრჩეველთა მიერ განმეორებით და სხვის მაგიერად ხმის მიცემის ფაქტები.

### ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების შეჯამება

როგორც არჩევნების დღეს 7 ივნისს, ასევე განმეორებითი კენჭისყრისას 21 ივნისს, ხმების დათვლისა და არჩევნების შედეგების შეჯამებისას დაფიქსირდა მთელი რიგი დარღვევები.

განჯალა-უზუნთალას № 18 საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას გადასატან ყუთში არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ხოლო სტაციონარულ (დიდ) საარჩევნო ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელზე არასწორად ჩაწერილი იყო საარჩევნო უბნის ნომერი: 18-ის ნაცვლად ეწერა 17. კომისიის მიერ ხმების დათვლისა და გამოცხადების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უამრავი დარღვევების გამო ის დასვამს საკითხს საოლქო კომისიის წინაშე, რათა ბათილად იქნას ცნობილი № 18 საარჩევნო უბნის შედეგები. აღნიშნულმა განცხადებამ უმართავი სიტუაცია შექმნა: ოთახში შემოცვივდნენ დაუდგენელი პირები, რომლებმაც ატეხეს ხმაური. ამ დროს გამოირთო შუქი, რასაც მოჰყვა დაულუქავი ბიულეტენების ერთი შეკვრის გატაცების მცდელობა. ფაქტობრივად საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესის დასრულება ვერ მოხერხდა.

ზოგიერთი საუბნო კომისიის ოქმი დაუბალანსებელია. მაგალითად, კაბალის № 17 უბანში ყუთში აღმოჩნდა 959 ბიულეტენი. ბათილი ბიულეტენების რაოდენობაა - 64, ხოლო კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების ჯამია - 900, ე.ი. 5 ხმით მეტი. ნინიგორის № 6 უბანში ყუთში აღმოჩნდა - 726, ბათილი ბიულეტენების რაოდენობაა - 7, ხოლო კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების ჯამია - 720, ე.ი. 1 ხმით მეტი.

განმეორებითი ხმის მიცემის შედეგების მონაცემებით კაბალის № 17 უბანში შემდეგი სურათია: გაცემულია - 1279 ბიულეტენი, ყუთში ჩაყრილი აღმოჩნდა - 1294. როგორც ვხედავთ, საარჩევნო ყუთში იყო 15 ზედმეტი ბიულეტენი.

ამავე უბანში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას საუბნო კომისიამ ბათილად ჩათვალა ის ბიულეტენები, რომლებზედაც შემოხაზული იყო კანდიდატთა სურათები, თუმცა შესაბამისი ინსტრუქცია ამის შესახებ არც საუბნო და არც საოლქო კომისიებს არ გააჩნდათ.

7 ივნისის ხმის მიცემისა და 21 ივნისის ხელახალი ხმის მიცემის შედეგად კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

1. ბარბაქაძე ლევან - 1 814
2. სირაძე ზაურ - 1 315
3. წერეთელი ირაკლი - 30
5. კაპანაძე დავით - 8 076
6. ბაქრაძე ვალერიან - 7 522
7. ვენჯელაშვილი გივი - 102
8. დათუაშვილი ივანე - 1 019
9. მესხიშვილი აკაკი - 2 092

### საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისიას საკმარისი დრო გააჩნდა საუბნო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ, როგორც არჩევნების დღეს აღმოჩნდა, საუბნო კომისიები არაორგანიზებულად მუშაობდნენ. ეს გამოიხატა მთელი რიგი კომისების წევრთა და თავმჯდომარეთა მიერ საარჩევნო კანონების არცოდნაში. საუბნო საარჩევნო კომისიები საშუალებას აძლევდნენ დამკვირვებლებს აქტიურად ჩარეულიყვნენ კომისიის საქმიანობაში. ხშირ შემთხვევაში კომისიები მითითე–ბებს ელოდებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიიდან და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. ფაქტობრივად არ იყენებდნენ კანონით მათთვის მინიჭებულ უფლებებს. ჩვენს დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ არც ერთი ფაქტი, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს უბნიდან დაეთხოვოს კანონის დარღვევისათვის თუნდაც ერთი პიროვნება.

საარჩევნო კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს. მათი წარდგენა უნდა მოხდეს შესაბამის კომისიაში არჩევნებამდე არაუგვიანეს ორი დღისა (იხ. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი). 21 ივნისს, განმეორებითი კენჭისყრის დღეს აღმოჩნდა, რომ საოლქო კომისიამ წინა დღით რეგისტრაციაში გაატარა შემდეგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- დემოკრატიის ქართული ინსტიტუტი;
- საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი;
- საქართველოს სტუდენტ მედიკოსთა ასოციაცია;
- ახალგაზრდა აგრარიკოსთა კავშირი;
- ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია "გალათეა";
- პარტნიორები დემოკრატიულ ცვლილებებში;
- სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი;
- ახალგაზრდული ორგანიზაცია "21-ე საუკუნის ვარსკვლავები";
- სოფლის მეურნეობის მუშაკთა სწავლებისა და გადამზადების საერთაშორისო ცენტრი;
- სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;
- თავისუფლება აღკვეთილთა დაცვის საზოგადოება;
- მშვიდობის დაცვის კომიტეტი;
- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- საქართველოს ახალგაზრდობის მრავალეროვნული ასოციაცია;
- აფხაზეთის ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია;
- საქართველოს ეკონომიკური ფორუმი;

ჩვენ დავუკავშირდით ზემოთჩამოთვლილ არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს. ზოგიერთმა მათგანმა ვერ შეძლო აეხსნა ჩვენთვის, თუ როგორ მოხდა, რომ მათი უფლებამოსილებით ისარგებლეს პოლიტიკურმა პარტიებმა და, ფაქტობრივად, ისინი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენეს.

### ცენტრალური საარჩევნო კომისია

№ 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში არჩევნების მსვლელობას დიდად შეუშალა ხელი თვით არსებული საარჩევნო კანონმდებლობის არასრულფასოვნებამ, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების მითითებამ ამომრჩეველთა პირადობის დადასტურების წესის შესახებ. სწორედ ეს მითითება გახდა არჩევნების დღეს საარჩევნო კანონის დარღვევის ძირითადი წყარო. როგორც "სამართლიანი არჩევნების" ერთერთი დამკვირვებელი აღნიშნავდა, საუბნო კომისიების მიერ პირადობის დასადასტურებლად გამოყოფილი ამომრჩევლები ადასტურებდნენ ყველა მოქალაქის პირადობას, მიუხედავად იმისა, იცნობდნენ თუ არა მათ.

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირებული დარღვევები, რომელთა შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ იქნა საჩივრები**

| საარჩევნო უბანი № | დარღვევა | განცხ. რეეის. № |
|---|---|---|
| მაწიმის 1 | ამომრჩეველთა მონაწილეობა კენჭისყრაში პირადობის დამადასტურებელი საბუთის გარეშე | 504 |
| კაუკასიონის 2 | საკონტროლო ფურცელი ჩაშვებული იქნა ყუთში კენჭისყრის დაწყების შემდეგ, ამომრჩევლებს ურიგებდნენ სააგიტაციო ბარათებს | კომისიის მდივნის ხელმოწერა |
| შრომის 5 | მეთვალყურეთა ჩარევა არჩევნების პროცესში | 497 |
| ნინიგორის 6 | კომისიის წევრმა სოციალისტური პარტიისგან ლალი ბახუტაშვილმა სცადა ამომრჩეველთა ორგანიზებული მოყვანა;<br>ამომრჩეველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ერეოდა საარჩევნო პროცესში;<br>ამომრჩეველთა სიები არ იყო გამოკრული | კომისიის მდივნის ხელმოწერა |
| კაბალის 17 | უბანი გაიხსნა 7.30 საათზე, საკონტროლო ფურცელი ჩაუშვეს 7.40 საათზე;<br>სკოლის მასწავლებელმა ხმის მისაცემად მოიყვანა მოსწავლეები;<br>ამომრჩეველთა უმრავლესობას არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი საბუთი. მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის დამკვირვებლები აქტიურად ეწეოდნენ აგიტაციას და ერეოდნენ კომისიის საქმიანობაში;<br>სმკ-ს წარმომადგენლები არ აძლევდნენ ჟურნალისტებს ნორმალური მუშაობის საშუალებას, ახდენდნენ კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლას. | 508 |
| განჯალა-უზუნთალას 18 | კომისიის თავმჯდომარეს არ შეუმოწმებია მეთვალყურეთა ვინაობა, ამიტომ უბანში იმყოფებოდნენ პირები, რომლებსაც ამის უფლება არ ჰქონდათ;<br>ადგილი ჰქონდა აგიტაციას, კაბინებში ხმას ერთდროულად აძლევდა რამდენიმე ამომრჩეველი, მეთვალყურეები ერეოდნენ კომისიის საქმიანობაში;<br>ამომრჩეველთა უმრავლესობას არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი საბუთები, და ბევრი მათგანი რამოდენიმეჯერ აძლევდა ხმას;<br>ბიულეტენები გაიცა საარჩევნო ასაკს მიუღწეველ პირებზე;<br>ხმის მიცემა სხვის მაგიერად.<br>ბიულეტენების გატაცების მცდელობა. | 509<br>522 |

**განმეორებითი კენჭისყრა 21 ივნისს**

| საარჩ. უბანი | დარღვევა | განცხ. რეგ. № |
|---|---|---|
| კაბალის № 17 | დილიდან არჩევნებს უკანონოდ ესწრებოდა რამოდენიმე ათეული დამკვირვებელი, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიამ დარღვევით მისცა დამკვირვებლის სტატუსი. ეს სტატუსი საოლქო კომისიამვე გაუუქმა მათ დღის 12.00 საათისათვის, მაგრამ უბანში და ეზოში არსებული ქაოსის გამო ვერ დადგინდა დატოვა თუ არა ყველა უკანონო დამკვირვებელმა უბანი;<br>ამომრჩეველთა მიერ მასობრივად ხმის მიცემა პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე.<br>ე.წ. პირადობის დამადასტურებელმა კომისიამ პირადობა დაუდასტურა ყველა ამომრჩეველს, მიუხედავად იმისა, იცნობდა თუ არა მათ. კომისიის თავმჯდომარე არავითარ ზომებს არ იღებს;<br>მოქ. იამირ ალიევს კომისიის თავმჯდომარე ალიევი არ აძლევდა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას, იმ მიზეზით, რომ მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერა უკვე დასმული იყო;<br>კომისიის თავმჯდომარემ ალიევმა არ იცის საარჩევნო კანონი;კ<br>ენჭისყრის შედეგების შეჯამებისას კომისიამ ბათილად ჩათვალა ის ბიულეტენები რომლებზედაც შემოხაზული იყო კანდიდატთა სურათები, თუმცა რაიმე ინსტრუქცია ამის შესახებ არც საუბნო და არც საოლქო კომისიას არ გააჩნიათ. | 608<br>609<br>611<br>610 |
| განჯალა უზუნთალას 18 | დამკვირვებლები არ დაასწრეს ოლქიდან მიღებული ბიულეტენების დათვლის პროცესს;<br>კომისიის წევრები ამომრჩევლებზე გასცემდნენ ბიულეტენებს პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე; ,<br>დღის 12.00 საათამდე უბანში იმყოფებოდნენ პირები, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონის დარღვევით წინადღით მიანიჭა დამკვირვებლების სტატუსი. 12.00 საათის შემდეგ კომისიამ მათ გაუუქმა სტატუსი და დაატოვებინა უბანი. | 607 |

# როგორ "მოიპარეს" დეპუტატის მანდატი "მოქალაქეებმა" და მათმა დამქაშებმა ლაგოდეხის არჩევნების დროს

ლაგოდეხის არჩევნების დაწყებამდე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ შესაძლებელია ჩავატაროთ არჩევნები სამართლიანად, რაინდულად, კანონის დაცვით.

პირველი სიმპტომები არჩევნების უკანონოდ ჩატარებისა გამოიკვეთა აპრილის ბოლოს - მაისის დასაწყისში, როდესაც ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ე.ჭაბაშვილმა დაუშვა 1 და 3 მაისს საარჩევნო კომისიის სხდომებზე რამოდენიმე კომისიის წევრი, ვისაც არ ჰქონდათ იმ თარიღებში კომისიის სხდომებში მონაწილეობის უფლება.

აღნიშნულ სხდომებზე იხილებოდა ერთი საკითხი - ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქის 24 საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებისა და ორ-ორი წევრის დანიშვნის შესახებ. გარდა ზემოთხსენებული დარღვევებისა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სხვადასხვა უბნებზე 8-დან 19-მდე წარმოდგენილ კანდიდატებიდან კენჭისყრაზე დააყენა ძირითადად თითო კანდიდატურა თავმჯდომარისა და წევრების ადგილზე და დაამატა კიდევაც ისინი. ეს მაშინ, როდესაც თოთხმეტიდან ხუთმა კომისიის წევრმა სხდომაზე განაცხადა პროტესტი უკანონო არჩევნების გამო, ამ პროტესტს არ მოჰყვა ე.ჭაბაშვილის მხრიდან შესაბამისი რეაგირება და ხუთმა კომისიის წევრმა უკანონო არჩევნების მოტივად მიატოვეს სხდომა. ამის თაობაზე 3 მაისს ჩატარებული სხდომის ოქმი საოლქო კომისიის თავმჯდომარემ თვით წარადგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ასეთი მოქმედებით ორჯერ დაირღვა საკონსტიტუციო უფლება მათი - ვინც იყო წარმოდგენილი თავმჯდომარისა და წევრების კნდიდატებად, და მათი, ვინც წარმოადგინა ეს პიროვნებები - 10 კაციანი საინიციატივო ჯგუფების ხელმოწერებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების.

მათ, ჯერ ლაგოდეხის №15 საოლქო საარჩევნო კომისიამ ხსენებული ქმედებით, მერე კი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ - 1998 წლის 14-16 მაისის სხდომებზე გაუკეთეს იგნორირება, როდესაც კენჭისყრის შედეგად ძალაში დატოვეს უკანონოდ, არაკონსტიტუციურად დანიშნული კომისიის თავმჯდომარეები და ორ-ორი წევრი.

არჩევნების ჩატარებამდე, ანუ 7 ივნისამდე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას არა ერთხელ მეც და კომისიის სხვა წევრებიც ვუმტკიცებდით, რომ უკანონოა იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებული წერილი, რომლის შესაბამიად: "თუ ამომრჩეველს არ ექნება თან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და კომისიის რომელიმე წევრი ან საუბნო საარჩევნო კომისიაში დასწრების უფლების მქონე რომელიმე პირი გამოთქვამს პრეტენზიას ამომრჩევლის პიროვნებასთან დაკავშირებით. ასეთი პრეტენზია მიღებულად ჩაითვალოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. წერილობითი პრეტენზიის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლის პიროვნების დადგენის მიზნით შეიძლება გამოიყენოს მინიმუმ ორი პიროვნება დადგენილი სუბიექტის წერილობითი დასტური ამომრჩევლის პიროვნების შესახებ, რაც უნდა დაერთოს ამომრჩეველთა სიას და მის საფუძველზე გაიცეს საარჩევნო ბიულეტენი". აღნიშნულ წერილს არანაირი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია, ვინაიდან ეწინააღმდეგება "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონს, 1995 წლის 20 მარტს ცსკ-ს მიერ მიღებულ ინსტრუქციას, არ გააჩნია ნომერი, გამოცემის თარიღი, არ არის დაბეჭდილი ცსკ-ს ბლანკზე და არც ბეჭედი არტყია.

პარასკევს 5 ივნისს, მაშინ, როდესაც საოლქო კომისიის თავმჯდომარემ წაიღო ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან საარჩევნო ბიულეტენები და უბნებისათვის ბეჭდები, ცსკ-ს ხელმძღვანელობასთან შევიკრიბეთ რამდენიმე კომისიის წევრი, აპარატის მუშაკები. სხვა საკითხებთან ერთად საოლქო კომისიის თავმჯდომარეს აწუხებდა ის მდგომარეობა, რომ მისი ინფორმაციით ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი რაიმე მოწმობა. აქვე მან მიიღო პასუხი, რომ მომზადებულია იურიდიული განყოფილების წერილი და უნდა იხელმძღვანელოს არჩევნების ჩატარებისას მისი შინაარსით. ამ საკითხთან დაკავშირებით იქვე წარმოიშვა დავა. ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ ეს წერილი არაკანონიერია, შეიქმნება შედეგების გაყალბებისათვის ყველა პირობა. კომისიის ხელმძღვანელობის არგუმენტი იყო მხოლოდ ის, რომ ამომრჩევლების დიდი ნაწილი იქნება საბუთების გარეშე და საერთო ჯამში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არჩევნებზე არ გამოვა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა, ანუ ერთ მესამედზე მეტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობამ რატომღაც, ჩვენთვის ეს დღესაც გაუგებარია, იტვირთა თავის თავზე ის, რაც მისი არც საქმე იყო და არც საფიქრებელი.

აქვს თუ არა ამომრჩეველს, საერთოდ მოქალაქეს პასპორტი ან სხვა მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთი, არის თვით მოქალაქის და ადგილობრივი ხელისუფლების საზრუნავი.

საბოლოოდ, მიუხედავად აზრთა დაპირისპირებისა, მომზადებული წერილის აშკარა უკანონობისა, ცსკ-ს ხელმძღვანელობამ დაავალა ე.ჭაბაშვილს გადაეცა სახელმძღვანელოდ ხსენებული წერილი საუბნო კომისიებისათვის. თათბირზე ხსენებული წერილის ავტორმა ლ.სანიკიძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის ცსკ-ს ოფიციალური წერილი, ეს არის მისი კონსულტაცია.

იბადება კითხვა, კონსულტაციის სახით დაშვებული ნებისმიერი წერილი, რომელიც არ იმეორებს არც კანონის რომელიმე მუხლს და არც მიღებულ ინსტრუქციას, რამდენად კანონიერია, და ამ შემთხვევაში ვინ დაარღვია ყველაზე მეტად საარჩევნო კანონი - იმან, ვინც შეადგინა რაღაც მოსაზრება, თუ იმან, ვინც ამის განხორციელების უფლება დაამკვიდრა - ანუ ცსკ-მ?

სწორედ ამ უკანონო წერილით შეიარაღებული, საარჩევნო ბრძოლაში ჩაბმული ერთ-ერთი მხარე - მოქალაქეთა კავშირმა და მათმა მხარდამჭერებმა ლაგოდეხის რაიონში მოახერხეს სიებში რიცხული ამომრჩევლების მაგიერ მოეყვანათ რამდენიმეჯერ სხვადასხვა პიროვნებები, რომლებსაც არც საბუთი ჰქონდათ, არც ამომრჩევლის ბარათი. ამ პიროვნებებს დაზეპირებული ჰქონდათ მხოლოდ გარკვეული გვარი და სახელი, კომისიის წევრები ნახულობდნენ ამ გვარებს ამომრჩეველთა სიებში და

(გაგრძელება 29–ე გვერდზე)

# "შევეცდები შეფასება მივცე ყველა იმ მოვლენას, რომლის უშუალო მომსწრე და მონაწილეც ვიყავი"



*ლაგოდეხის არჩევნებზე ბევრი საუბარი იყო და ბევრიც დაიწერა, ასე რომ, რაიმე ახლის თქმა ძალიან ძნელია. მე შევეცდები შეფასება მივცე ყველა იმ მოვლენას, რომლის უშუალო მომსწრე და მონაწილეც ვიყავი.*

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხში ჩატარებული არჩევნები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საქართველოში არსებული მდგომარეობის ობიექტური სურათი.

ორი თვის განმავლობაში ლაგოდეხის რაიონში მოხდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის კონცენტრირება და არჩევნების მთავარმა სუბიექტმა - ამომრჩეველმა - უკანა პლანზე გადაიწია. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო არჩევნებში მონაწილე პარტიათა წარმომადგენლებისა და მხარდამჭერების საქართველოს ყველა რეგიონიდან ლაგოდეხში გადანაცვლებამ. ამიტომ სიტუაცია უფრო დამძიმდა. ლაგოდეხის არჩევნები საქართველოში მიმდინარე არჩევნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი რომ ყოფილიყო, 7 ივნისს მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.

მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციებისა ლაგოდეხის არჩევნებს მოიაზრებდა არა როგორც პარლამენტში ერთ დამატებით მანდატს, არამედ როგორც პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადანაწილების დასაწყისს. ამ გადანაწილების ძირითადი ფორმულა იყო "ნებისმიერი მინუს ერთი", რომლითაც წარმართეს წინასაარჩევნო კამპანია «სახალხო», «ლეიბორისტულმა» და «სოციალისტურმა» პარტიებმა, «დემოკრატიული აღორძინების კავშირმა». მათი წინასაარჩევნო მოწოდება ასეთი იყო: «აუცილებელი არ არის ხმა მისცეთ ჩვენი პარტიის კანდიდატს, მიეცით ხმა ნებისმიერს, გარდა მოქალაქეთა კავშირის კანდიდატისა». აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ალიანსები ძალიან ადვილად შეიქმნა და თვით დეპუტატობის კანდიდატებმა წინასაარჩევნო კამპანიებში ძირითადი ადგილი პოლიტიკურ გარიგებებს დაუთმეს.

სიტუაცია რომ დაიძაბებოდა, ამას ისიც მოწმობდა, თუ როგორ წარიმართა არჩევნების წინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომები. თავიდანვე მომზადდა მომავალი არჩევნების შედეგებისა და საარჩევნო (საოლქო და საუბნო) კომისიებისათვის უნდობლობის გამოსაცხადებლად საჭირო არგუმენტები, იმ შემთხვევისათვის, თუ არჩევნების შედეგები «სოციალისტებისათვის» ან «სახალხოელებისათვის» არასასურველი აღმოჩნდებოდა. ამასვე მოწმობს ის ფაქტი, რომ 7 ივნისს ოცდაოთხივე საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ათეულობით აქტი, რომელთა მომზადებაზე «სოციალისტურ პარტიას» სათითაოდ გაპიროვნებული პასუხისმგებელი პირი ჰყავდა, უგზო-უკვლოდ გაქრა და საოლქო კომისიას არ წარედგინა.

7 ივნისის არჩევნების შემდეგ ერთბაშად მოიხსნა საოლქო თუ საუბნო კომისიის კომპეტენციის «პრობლემა» და საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული ყველა დარღვევა ერთი «მარტივი» მიზეზის გამო: სოციალისტებს არჩევნების შედეგი აწყობდათ, ხოლო დანარჩენი პარტიებისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თვით განჯალა-უზუნთალის უბნის დარღვევის ფაქტიც კი ჩვეულებრივ საარჩევნო მოვლენად განიხილებოდა. არც ის იყო პრობლემა, რომ მთელი ღამის განმაელობაში არავინ იცოდა, რა ბედი ეწია მე-18 საარჩევნო უბნის ბიულეტენებს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა რეზონანსი ექნებოდა აღნიშნულ ფაქტს, თუ ეს ხელსაყრელი არ იქნებოდა სოციალისტებისათვის. საკითხავეია, რატომ გაახსენდათ მათ 7 ივნისის არჩევნების ყველა პრობლემა მხოლოდ 21 ივნისის შემდეგ? ამ შეკითხვაზე პასუხი იმდენად მარტივია, რომ თვით სოციალისტებიც იძულებულნი არიან ასე უპასუხონ: «მაშინ არ გვაწყობდა და იმიტომ».

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც ასევე ხშირად გაისმოდა ამ პერიოდში: რატომ გაბათილდა 7 ივნისის არჩევნების შედეგები მე-17 და მე-18 საარჩევნო უბნებზე და არ გაბათილდა 21 ივნისის არჩევენბის შედეგები იმავე უბნებზე? შევეცდები შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხი გავცე ამ შეკითხვას. პირველი, რამაც ეს განაპირობა, არის ის, თუ რა დარღვევები მოხდა 7 ივნისს: საარჩევნო კომისიები განიცდიდნენ ზეწოლას უბნებზე მყოფი დამკვირვებლებისაგან. "ზეწოლა" ყველაზე მარტივი სიტყვაა იმ ისტერიული ვითარებისა და არეულობის აღსაწერად, რომელიც შექმნეს მე-17 საარჩევნო უბანზე ქალბატონებმა ეთერ პაპაშვილმა, მარინა აბულაძემ, ხათუნა პაპაშვილმა, დოდო თოდრაძემ, მაგული გაფრინდაშვილმა, ია პაპაშვილმა. მათი ჩარევა საარჩევნო პროცესში იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე აქტში (იმის შესახებ, რომ საარჩევნო უბანზე სხვა დამკვირვებლები თუ ნდობით აღჭურვილი პირები არ შეუშვეს) ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც კომისიის წევრები. მათთვის, ვინც აქტებს ადგენდა, ძალიან რთული იყო იმის წარმოდგენა, რომ მეთვალყურეები თავიანთ უფლებებს ამდენად გადაამეტებდნენ. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ აღნიშნული ქალბატონები სხვადასხვა პოლიტიკურ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, ამიტომ მათი როგორც ერთი ნავარჯიშევი და ერთნაირად ინსტრუქტირებული „გუნდის" დაფიქსირებას საკმაო დრო დასჭირდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი წევრი ამ ქალბატონების მორიგი მეტევის ობიექტი გახდა, საოლქო კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მათი უბნიდან გაძევების შესახებ. თუმცა ეს გადაწყვეტილებაც ვერ შესრულდა: ბატონი შალვა რჩეულიშვილის უშუალო ზეწოლითა და „თაედებით" საუბნო კომისიის თავმჯდომარე დათანხმდა (კანონის შესაბამისად საუბნო კომისიის თავმჯდომარეს ამის უფლება აქვს) მათ უბანზე დატოვებას, რამაც გამოიწვია საღამოს 8 საათამდე მორიგი ისტერიე

(გაგრძელება 29–ე გვერდზე)

# სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონული ოფისები

**იმერეთის რეგიონი**
ქუთაისი, თბილისის ქუჩა, 24.
ტელ.: 4 26 96.

**შიდა ქართლის რეგიონი**
გორი, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, 6. ტელ.: 2 18 77.

**ქვემო ქართლის რეგიონი**
რუსთავი, რუსთაველის ქუჩა, 20.
ტელ.: 12 77 56.

**კახეთის რეგიონი**
თელავი, ქეთევან წამებულის ქუჩა, 3. ტელ.: 3 32 84.

## როგორ "მოიპარეს" დეპუტატის მანდატი "მოქალაქეებმა" და მათმა დამქაშებმა ლაგოდეხის არჩევნების დროს

(გაგრძელება 23–ე გვერდიდან)

დაუყოვნებლივ აძლევდნენ მათ ბიულეტენებს. წინასწარ მომზადებული მოქალაქეები ამდაგვარ პროცედურას რამდენიმეჯერ ახორციელებდნენ სხვადასხვა უბნებზე. დაახლოებითი გაანგარიშებით ზემოთ აღწერილი გაყალბებით, მოქალაქეთა კავშირის კანდიდატმა უკანონოდ მიიღო 7 ივნისს სამი ათასამდე ხმა.

ამ არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევათა შესახებ მრავალი დოკუმენტი მოგვეპოვება. თვით მოქალაქეთა კავშირსაც კარგად ესმის ეს და ამიტომაც არ ჩქარობს დავით კაპანაძის უფლებამოსილების ცნობას პარლამენტის სხდომაზე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 24 წევრიდან მხოლოდ თერთმეტმა მოაწერა ხელი ლაგოდეხის არჩევნების შედეგებს. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი იძულებული გახდა პროკურატურისა–თვის გადაეცა ლაგოდეხის არჩევნების შედეგები 620 გვერდიანი დანართით, რომელშიც დაფიქსირებულია ყველა დარღვევა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულმა განყოფილებამ მკაცრი და ობიექტური შეფასება მისცა 7 ივნისის არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევეებს და მხარი დაუჭირა საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებას 2 უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ, ხოლო 21 ივნისს ამავე უბნებზე ხელახალი ხმის მიცემისას დაფიქსირებულ ანალოგიურ დარღვე–ვებზე თვალი დახუჭა. ეს არის ცინიზმი.

მე იმედი მაქვს, რომ როსტომ დოლიძის კომიტეტი პროკურატურის მიერ ძიების დამთავრებამდე არ შეიტანს პარლამენტში წინადადებას დ.კაპანაძი–სათვის პარლამენტის წევრის უფლება–მოსილების მინიჭების თაობაზე.

**დენის დავითაშვილი**

(მასალა მომზადებულია 18 აგვისტოს)

## "შევეცდები შეფასება მივცე ყველა იმ მოვლენას, რომლის უშუალო მომსწრე და მონაწილეც ვიყავი"

(გაგრძელება 23–ე გვერდიდან)

ბისა და გულყრების სერია, რომელთა დროსაც სიტუაცია საარჩევნო უბანში აბსოლუტურად უმართავი იყო (არავინ უწყოდა, ვინ რამდენ ბიულეტენს იღებდა და რას ყრიდა საარჩევნო ყუთში). მთელი დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობდნენ ერთი და იგივე ამომრჩევლები, მოქალაქეები, რომელთაც არ შესრულებოდათ საარჩევნო ასაკი, ერთ ამომრჩეველზე გაიცემოდა რამდენიმე ბიულეტენი, საარჩევნო უბანი ერთ-ერთი მეთვალყურის გამო 40 წუთი იყო დაკეტილი, არჩევნები დაიწყო 50 წუთით გვიან, მთელი დღის განმავლობაში ხდებოდა აგიტაცია, გამოუყენებელი ბიულეტენები არ დაილუქა ყუთის გახსნამდე და ა.შ. თითოეული ასეთი ფაქტი დაფიქსირდა აქტებში და დაფიქსირდა არა ისე, როგორც 21 ივნისს სოციალისტების მიერ («რამდენიმე შემთხვევაში», «რამდენიმე ამომრჩევლის მიერ, რომელთა გვარების დადგენა ვერ მოხერხდა»), არამედ, კონკრეტული დროის, გვარებისა და მომხდარი დარღვევის მითითებით, აღიბეჭდა ვიდეოფირზე.

რაც შეეხება მე-18 საარჩევნო უბანს, სიტუაცია საღამოს 7 საათისათვის იმდენად უმართავი გახდა, რომ კომისიის თავმჯდომარემ და ექვსმა წევრმა შეადგინეს სპეციალური ოქმი, რომლითაც ატყობინებდნენ საოლქო კომისიის თავმჯდომარეს დღის განმავლობაში მომხდარი დარღვევების შესახებ და თხოვდნენ, რომ ამ უბანზე არჩევნების შედეგები გაბათილებულიყო. ასე რომ, 19.30-ისათვის ყველა იქ მყოფისათვის აშკარა გახდა ამ უბანზე შედეგების გაბათილების დიდი ალბათობა. სწორედ ამ მომენტში ამუშავდა ის მარტივი ლოგიკა, რომელსაც დღემდე ასე გულდასმით მისდევდნენ სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. ყუთში რამდენი ზედმეტი ბიულეტენი ჩაიყარა და ვის სასარგებლოდ, ეს მათთვის კარგად იყო ცნობილი. შესაბამისად, არც ის იყო დიდი საიდუმლეობა, რომ ხმები ვალერი ბაქრაძის სასარგებლოდ სჭარბობდა. ასე რომ, ნებისმიერი ფაქტი (ხანძარი, მიწისძვრა თუ რაიმე სხვა), რა თქმა უნდა «მოქალაქეთა კავშირს» დაბრალდებოდა და შესაბამისი მანქანაც ამუშავდა: ბიულეტენების ნაწილი გაიტაცეს, კომისიის წევრებმა, მათივე განმარტებით, «ზოგმა კარებიდან და ზოგმა ფანჯრიდან უშველა თავს», სად იყო ბიულეტენები მთელი ღამის განმავლობაში, როგორ იპოვეს და დათვალეს მეორე დილის 12 საათზე, ეს რატომღაც მხოლოდ სოციალისტებისთვისაა ცნობილი. აღნიშნულ პროცესებს მათ გარდა არავინ დასწრებია და, ამდენად, მოხდა თუ არა რაიმე დარღვევა, ამის თქმის «უფლებაც» მხოლოდ მათ აქვთ. ადასტურებენ კიდეც, რომ ყველაფერი კანონიერად და კანონით გათვალისწინებული პროცედურით წარიმართა, ამიტომ ვერანაირ საფუძველს ვერ ხედავენ ამ უბნის შედეგის გასაბათილებლად.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ისევე, როგორც მანამდე საოლქო საარჩევნო კომისიამ სოციალისტების «არგუმენტები» არ გაიზიარა და მე-17 და მე-18 უბნების შედეგები გააბათილა, რასაც სოციალისტების (მათ შორის, პარლამენტის წევრის ჯგუშიას) მხრიდან ცსკ-ის წევრის ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა. თუმცა ამ ფაქტს სოციალისტური პარტია არ აღუშფოთებია. როგორც ჩანს, ცემის ფაქტი საგანგაშო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ დაზარალებული სოციალისტია, სხვა ანალოგიური ფაქტი (თუნდაც პარლამენტის წევრის და თან ქალის ფიზიკური შეურაცხყოფა) არანაირ პრობლემას არ ქმნის.

რაც შეეხება ხმის მიცემის პროცესს 21 ივნისს. რა თქმა უნდა, დარღვევები ამ დღესაც იყო. ძირითად პრობლემას ისევ ამომრჩევლის პიროვნების დადასტურება წარმოადგენდა, თუმცა არჩევნები 7 ივნის–თან შედარებით გაცილებით უფრო მოწესრიგებულად და ორგანიზებულად ჩატარდა. ამას ხელი შეუწყო იმ წინასწარმა მოლაპარაკებამ, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ორი კვირის განმავლობაში წარმოებდა. საარჩევნო პროცესი წყნარად და ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ძირითადი «პრეტენზიები», რომლებსაც სოციალისტები გამოთქვამენ, დაკავშირებულია საარჩევნო უბნის ნათურებთან, გაღებულ ფანჯრებთან, კომისიის წევრების სადილობასთან, აგრეთვე იმ ფაქტებთან, რომ საარჩევნო უბანი არ დაკეტილა და იქ უცხო პირებს არ უშვებდნენ.

ყველა ზემოხსენებული საჩივარი რომ ერთი ხელით არის დაწერილი, რა თქმა უნდა, გაკვირვებას არ იწვევს. საოცარი ისაა, რომ მე-17 საარჩევნო უბანზე მომხდარ დარღვევებზე ხელს მე-18 საუბნო კომისიის წევრები აწერენ (სოციალისტთა განმარტებით, კომისიის წევრებს ვიდეომასალა რომ უნახავთ, იმდენად აღშფოთებულან, სასწრაფოდ აქტი შეუდგენიათ); რომ ისინი დღემდე ბოდიშს უხდიან საჩივრის ობიექტებს: ხელი ისე მოვაწერეთ, არც წაგვიკითხავს, რა ეწერაო. გაუგებარია, რისთვის იყო საჭირო ამ აქტების შედგენა. ნებისმიერ შემთხვევაში – გაუქმდებოდა ერთ-ერთი, თუ ორივე უბნის შედეგები, ან არ გაუქმდებოდა არც ერთი - გამარჯვებული მაინც სმკ-ის კანდიდატი დარჩებოდა.

ერთადერთი ახსნა, რომელიც შეიძლება ამ ალოგიკური აქტების შედგენას მოვუძებნოთ, არის სოციალისტების მიერ პლაცდარმის მომზადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საერთოდ ლაგოდეხის საარჩევნო პროცესისათვის უნდობლობის გამოსაცხადებლად. იმ შემთხვევაში, თუ ესეც არ გაამართლებდა, უნდობლობის ობიექტი უკვე თვით ცენტრალური საარჩევნო კომისია გახდებოდა. შემდგომი მოვლენები სწორედ ამ სცენარით განვითარდა.

ლაგოდეხის არჩევნების შედეგების საერთოდ გაბათილების ორი ვარიანტი იქნა მოსინჯული: პირველი - გაუქმებულიყო მოქალაქეთა კავშირის კანდიდატის რეგისტრაცია და მეორე - მოქალაქეთა კავშირი საერთოდ უკანონო პოლიტიკურ გაერთიანებად (შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის უფლების არმქონედ) გამოცხადებულიყო. ძალისხმევა არც ერთი მიმართულებით არ დაუკლიათ. ჯერ საოლქო, ხოლო შემდეგ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცსკ-მ აშკარად სოციალისტების მეტი პატივისცემა დაიმსახურა და საოლქო კომისიაში წარდგენილ აქტებში არსებული შეცდომების უმეტესობა გასწორდა) შეტანილ იქნა კაბალისა და განჯალა-უზუნთალის უბნების 10 ამომრჩევლის ახსნა-განმარტებითი ბარათი იმის შესახებ, თუ როგორ სთავაზობდნენ სხვადასხვა სახის ხვავსა და ბარაქას, თუ კი დავით კაპანაძეს მისცემდნენ ხმას. ამ შემთხვევაშიც არავის გაჰკვირვებია, რომ ყველა საჩივარი ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი (ეს საერთოდ ტრადიციაა სოციალისტებისათვის: მე-17 უბანზე ყველა აქტს კომისიის წევრი ელგუჯა შაფათავა აღგენდა, მე-18 უბანზე – ცსკ-ის წევრი დანიელ დავითაშვილი; ცსკ-ს ამ საკითხშიც გაუმართლა: პარტიის რწმუნებულის - ადვოკატ შალვა რჩეულიშვილის «საჩივარი», «საჩივარი № 2», «საჩივარი № 2 (.შ.-იანი ვარიანტი)» და «საჩივარი № 3» ხვდა წილად). არც ის გაჰკვირვებია არავის, რომ ათმა ადამიანმა ივნისის ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძა და საკუთარი სურვილით ხელი მოაწერა – „გუშინწინ ქრთამი ავიღე და, თქვენი ჭირიმე, სასწრაფოდ პასუხისგებაში მიმეცითო"; გასაკვირი მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ ამ ათიდან ექვსი ან საერთოდ არ არსებობს ან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში არავის უნახავს; დანარჩენი ოთხიდან სამმა მეორე დღეს ახსნა-განმარტება დაწერა და უარყო მის მიერ ასეთი დოკუმენტის ხელმოწერის ფაქტი; ხოლო მეათე, ბაქირ იუნუსოვი, კაბალის საარჩევნო უბანზე «ტრადიციონალისტთა კავშირის» ის «აქტიური» დამკვირვებელი იყო, რომელიც არანაირი «სიკეთის» გამო „მოქალაქეთა კავშირის" სასარგებლოდ თვალსაც კი არ დაახამხამებდა. მოსყიდვის ფაქტების დადასტურება სასამართლოს კომპეტენციაა და ეს სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც გამოცდილი იურისტების ნაკლებობას, როგორც ამბობენ, არ განიცდის, რა თქმა უნდა, იცის. მაგრამ სასამართლოში აღნიშნული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სიმართლის დადგენა, ამიტომ გაცილებით «სწორი» გზა იქნა არჩეული: საოლქო, შემდეგ კი – ცენტრალური საარჩევნო კომისია. ვერც პირველი და ვერც მეორე, ბუნებრივია, თავის თავზე სასამართლოს ფუნქციას ვერ აიღებდა და ამ ბრალდებას ვერც დაადასტურებდა და ვერც უარყოფდა. ეს თვითმიზანს არც არავისთვის წარმოადგენდა. ძირითადი გათვლა მასმედიაზე და საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე იყო გაკეთებული. ტალახი ნასროლია და როგორ და როდის ჩამოიწმენდენ, ეს უკვე ტალახში ამოსვრილების პრობლემაა და არა მისი მსროლელების. მთავარია, დაფიქსირდა, რომ «საწყალ» სოციალისტებს «ძლიერი» მოქალაქეები ყველა დაშვებული თუ აკრძალული ილეთებით ებრძოდნენ და გულაჩუყებული ამომრჩევლებიც დარაზმულები შევლენ სოციალისტურ პარტიაში.

